ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი

1.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 01 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 11

2025 წლის 01 აგვისტო

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის დროებით მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა-ვაქერ სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 24 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

საკრებულოს აპარატი

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ეკა შავიძეა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი,

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, სხდომის თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი.
მომხრე 24

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე . **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 17 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პავლე კიკალიშვილმა, საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბიუჯეტო ცვლილება განიხილა კომისიის სხდომაზე და მხარს უჭერს,

ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“, აღნიშნა, რომ საკრებულოს საქმიანობა რეგლამენტის დარღვევით მიმდინარეობს, მოვედი საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დასასწრებად იმ დროს რა დროისთვისაც ვიყავი გაფრთხილებული, და სხდომა უკვე ჩატარებული დამხვდა ვერ შევძელი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება , კომისიის საქმიანობა საჯაროა და მიუხედავად არა ერთი მოთხოვნისა სხდომის ჩატარების დრო და განსახილველი საკითხების გამოქვეყნება არ ხდება.

კობა გოგსაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-დან აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე მერიასთან შედგა თათბირი, სადაც მხარი დავუჭირე, ინფრასტრუქტურულ პროექტებს გეგმაში ჩასმული იყო ჩემი სოფელი ვარძია, ახლა ვერ ვნახე, თუ ეს შირმაა და არ მივყვებით გეგმას რა აზრი აქვს ასეთ განხილვას, ვარძიაში გზა არის გაუვალი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საბიუჯეტო ცვლილების პროექტი მუხლობრივად

- კენჭის ყრაზე დადგა საკითხი საქართველოს განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობის სამინისტროსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2025 წლის 11 ივლისის ,,საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/ რეაბილიტაციის/ აღჭურვის) განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ექვსი საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის მიზნობრივი ტრანსფერის განისაზღვროს **393 975** ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაციისათვის დამატებით გამოეყოფილი თანხა განისაზღვროს **498 976** ლარით,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე 23

წინააღმდეგი 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი მუნიციპალიტეტის სოფლებში ტრენაჟორების მოსაწყობად სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვისათვის დამატებით გამოიყოს 150 000 ლარი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყოს **222 610** ლარი,

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი 2024 წელს განსაზღვრული ზოგადი პირობებისა და სამიზნე მაჩვენებლების შესრულებისათვის, გამოყოფილი კაპიტალური გრანტი განისაზღვროს 300 000 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის

განვითარებას.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები **29 383 721** ლარი გაიზარდოს **1 415 561** ლარითდა განისაზღვრება **30 799 282**

ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 1

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები **35 173 630** ლარი გაიზარდოს **1 415 561** ლარით, და განისაზღვრება **36 589 191**

ლარით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **დავით კიკნაძე**